# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/43 " 10 " მაისი 2019 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ**

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა და „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2019 წლის 1 მაისის ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაიწყოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 20 ვაკანსიაზე განცხადებები ელექტრონული ფორმით მიიღება 2019 წლის 11 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით.

3. შერჩევის პროცედურის დაწყება გამოცხადდეს სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის მეშვეობით და შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდოს საზოგადოებრივ მაუწყებელს და ყველა ეროვნულ მაუწყებელს.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი